



ევროკავშირი  
საქართველოსთვის



აღმოსავლეთ პარტნიორობის  
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის  
საქართველოს ეროვნული პლატფორმა

## გენდერული თანასწორობის ქვეჯგუფის შეხვედრა

თარიღი: 2 სექტემბერი, 2020 წელი

დრო: 13:00 – 15:00 საათი

შეხვედრის ადგილი: Zoom

### შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. მაკა ჯახუა - ასოციაცია და რადიო „მწვანე ტალღა“
2. ლაშა ტულუში - ლიბერალური აკადემია თბილისი
3. ქეთევან კურცხალია - ქალთა პოლიტიკური რესურს ცენტრი
4. ალლა გამახარია - ფონდი სოხუმი
5. ლიკა ნადარაია - ქალთა პოლიტიკური რესურს ცენტრი
6. მერი გელაშვილი - მეწარმე ქალთა ფონდი
7. ელენე რუსეცკაია - ქალთა საინფორმაციო ცენტრი
8. ნანა თოდუა - ასოციაცია მერკური
9. ქრისტინა კილანავა - ასოციაცია ”იმედი” დევნილ ქალთა მოძრაობა მშვიდობისათვის
10. იულია ხარაშვილი - იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია ”თანხმობა”

### განსახილველი საკითხები:

1. გენდერული თანასწორობის კუთხით არსებული პრობლემების მიმოხილვა
2. Covid-19-ის გავლენა გენდერულ საკითხებზე
3. პოზიციის დოკუმენტის მომზადებისთვის აზრებისა და იდეების გაცვლა
4. სხვა საკითხები

გენდერული თანასწორობის ქვეჯგუფის შეხვედრა გახსნა პირველი სამუშაო ჯგუფის კოორდინატორმა, მაკა ჯახუამ.

თავდაპირველად მან ისაუბრა პოზიციის დოკუმენტის შემუშავების საკითხზე. სამუშაო ჯგუფის კოორდინატორებმა, თავიანთი მანდატის ფარგლებში, ჯგუფებთან და ქვეჯგუფებთან ერთად უნდა შეიმუშავონ მინიმუმ 3 პოზიციის დოკუმენტი, სამ სხვადასხვა საკითხზე. ჯგუფის კოორდინატორი მიიჩნევს, რომ ერთი დოკუმენტი უნდა შემუშავდეს გენდერულ საკითხებზე. პოზიციის დოკუმენტისთვის, ქვეჯგუფის შეხვედრის ფარგლებში, მონაწილეებმა მოკლედ წარმოადგინეს გენდერული თემატიკის პრობლემური საკითხები. კორონავირუსით გამოწვეული პანდემიის ფონზე, მნიშვნელოვანია განხილული იყოს გენდერული საკითხები Covid-19-ის ფონზე. ქვეჯგუფის შეხვედრის ფარგლებში, საკითხზე მომუშავე ორგანიზაციის წარმომადგენლმა მოკლედ მიმოიხილეს ის პრობლემური საკითხები, რომელიც გენდერული თანასწორობის პრობლემას განაპირობებს. პანდემიის ფონზე უფრო დამძიმდა ეს პრობლემები. გართულდა ქალების როლი როგორც ოჯახურ ცხოვრებაში, ი ისე სამსახურში. იმ ფონზე, რომ დაიკეტა სკოლები და ბაღები, ბავშვები რჩებოდნენ სახლში, რაც დასაქმებული ქალბატონებისთვის იყო ძალიან რთული. ასევე უდიდესი პრობლემა იყო ონლაინ სწავლება. რეგიონებში, მრავალშვილიანი ოჯახებისთვის, თითქმის შეუძლებელი იყო ბავშვების უზრუნველყოფა კომპიუტერული მოწყობილობებით, რომლის საშუალებითაც ბავშვებს უნდა შეეძლებოდათ გაკვეთილებში მონაწილეობის მიღება. ასევე პრობლემური იყო გამყოფ ხაზთან მცხოვრები ადამიანების რეალობა. გახშირდა ფსიქიკური პრობლემების ფაქტები, რამაც გამოიწვია სუიციდის მცდელობის ფაქტების გახშირება. შეხვედრის დასასრულს, ქვეჯგუფის წევრები შეთანხმდნენ, რომ მოხდება თითოეული ორგანიზაციის მიერ, მიმდინარე პერიოდში შემუშავებული დოკუმენტების გაზიარება, სადაც ნაჩვენებია ყველა მნიშვნელოვანი პრობლემა.

ორსაათიანი მსჯელობის შემდეგ შეხვედრა დასრულდა

შეხვედრის მდივანი

ქეთევან ჭურაძე